ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №10

12 აპრილი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
5. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
6. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი;
8. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
9. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (12-031809347-03, 03.04.2018).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ (12-031805975-03, 28.02.2018) ინფორმაცია.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შუალედური ანგარიში მიმდინარე წლის 3 მარტს თბილისის რაიონებში განხორციელებული სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და მათი აღმოფხვრის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრები.

მომხსენებლები:

- **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **გელა ჩივიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **მალხაზ ჭამპურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - პირველი საკითხი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილებას.

ი.ნადირაძე - ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 4 000 000 ლარი, რა მიმართულებით წავა აღნიშნული თანხა, კომპანია „სი-თი პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ. როგორ მოხდება ჯარიმებიდან შემოსული თანხების განაწილება.

ვ.აბულაძე - როგორც მოგეხსენებათ, 10 აპრილიდან, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ოპერირების უფლებამოსილება გადაეცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“. თბილისის სატრანსპორტო კომპანია არის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი. თანხები წარიმართება დედაქალაქის ბიუჯეტში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საფინანსო სამსახურში შექმნილია ჯგუფი და უახლოეს მომავალში გაგაცნობთ დეტალებსაც.

ს.ბირკაძე - მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სარგებლობს ძალიან ბევრი მოქალაქე. ამ მოქალაქეების მიერ ხშირად ხდება სამგზავრო ბარათების სხვა პირზე გადაცემა. აღნიშნულის შედეგად, შემოსავალი აკლდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიას.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის დადგენილების 4[1] მუხლში. კერძოდ, მუხლის დღეს მოქმედი რედაქციით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა კუთვნილი პლასტიკური ბარათით არაუფლებამოსილი პირების მხრიდან სარგებლობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, ოპერატიულ რეჟიმში ხდება ბარათის დაბლოკვა, რათა ვერ განხორციელდეს ამ ბარათის სამგზავროდ გამოყენება, ხოლო ბარათის განბლოკვა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ მყისიერად ხორციელდება უფასოდ, ბარათის კანონიერი მფლობელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემდეგ.

პროექტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდება არაუფლებამოსილი პირის მიერ პლასტიკური ბარათით სარგებლობის ფაქტი, ბარათის კანონიერ მფლობელს 6 თვის განმავლობაში, ჩამოერთმევა უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის ბარათით სარგებლობის უფლება (განხორციელდება ბარათის დაბლოკვა). ბარათის განბლოკვა და სამგზავრო ფუნქციის აღდგენა განხორციელდება აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ავტომატურად, უფასოდ.

დ.უთმელიძე - ობიექტური გარემოების შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა ბარათის ვადაზე ადრე განბლოკვა.

ს.ბირკაძე - წესი ითვალისწინებს, რომ ობიექტური გარემოებების საფუძველზე, მოხდეს ბარათის ვადაზე ადრე განბლოკვა.

ი.ნადირაძე - ხშირად არის შემთხვევები, როდესაც შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირი მეტროს შესასვლელთან მგზავრებს სთავაზობს საკუთარი ბარათის გატარებას, სანაცვლოდ მგზავრებისგან იღებს მგზავრობის საფასურს (0.5 ლარი). რა შეიძლება მოვიმოქმედოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, იქნებ ამავე წესში შევიტანოთ ცვლილება.

ს.ბირკაძე - აღნიშნული წარმოადგენს დარღვევას დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზეც და მას რაიმე სახის დამატებითი რეგულაცია არ სჭირდება.

ნ.ლაცაბიძე - როგორ მოხდება მოსახლეობის ინფორმირება ცვლილების შესახებ.

ს.ბირკაძე - მერიის შესაბამისი სამსახური გაავრცელებს ინფორმაციას, ცვლილების თაობაზე ასევე გაჟღერდება მედიაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **9;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ (12-031805975-03, 28.02.2018) ინფორმაცია.**

მ.ჭამპურიძე - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 837,472.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 855,436.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.1%, ხოლო გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 843,134.5 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 835,193.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99%-ია.

ანგარიშის მიხედვით, ტრანსპორტის განვითარება დაფინანსდა 74,812.7 ათასი ლარით. კერძოდ, დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები: - ტრანსპორტის საქალაქო სამსახური დაფინანსდა 22,754.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია: - ტრანსპორტის საქალაქო სამსახური დაფინანსდა 43,843.4 ათასი ლარით.

შუალედური შედეგები: თანამედროვე დიზაინით, კომფორტული სალონით და თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების ბაზაზე ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი ვაგონებით მგზავრთა გადაადგილება.

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა: - ტრანსპორტის საქალაქო სამსახური დაფინანსდა 3,227.9 ათასი ლარით.

დასახული შუალედური შედეგები:

მეტროს განახლებული სადგურებით მომსახურება. ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი ვაგონებით მგზავრთა გადაადგილება.

01 02 04 ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება: - საფინანსო საქალაქო სამსახური დაფინანსდა 3,883.0 ათასი ლარით.

დასახული შუალედური შედეგები:

დედაქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგება.

01 02 06 საბაგირო ტრანსპორტის განვითარება: - ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, სსიპ ,,ტექნოლოგიური განვითარების ფონდი" დაფინანსდა 1,103.8 ათასი ლარით.

დასახული შუალედური შედეგები:

განახლებული ინფრასტუქტურა და ახალი საბაგირო გზა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას, ხმაურის, გამონაბოლქვის და გადაადგილებასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **8;** თავი შეიკავა - **1,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საკრებულოს სხდომაზე წარდგენის შესახებ, გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შუალედური ანგარიში მიმდინარე წლის 3 მარტს თბილისის რაიონებში განხორციელებული სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და მათი აღმოფხვრის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ვ.აბულაძე - პირველი პრეცენდენტი იყო როდესაც რამდენიმე სამსახურმა ერთად შემოვიარეთ დედაქალაქის რაიონები და ერთად გავეცანით არსებულ პრობლემებს სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

რაც შეეხება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით, ამჟამად გვაქვს მიმდინარე ტენდერები. დამონტაჟდა 632 ახალი საგზაო ნიშანი, 287 საგზაო ნიშნის დგარი. დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული 432 საგზაო ნიშანი, მათ შორის 177 ცალი დგართან

ერთად, ადგილმდებარეობა შეეცვალა 36 ნიშანს, შეკეთდა (გასწორდა) 36 ცალი საგზაო ნიშნის დგარი. გასუფთავდა-გაირეცხა 68 ცალი საგზაო ნიშანი. დამონტაჟდა 108 ცალი ახალი ბოძკინტი, შეკეთდა (მანათობელი ფირი გამოეცვალა) 1095 ბოძკინტს, გასუფთავდა-გაირეცხა 655 ცალი ბოძკინტი.

დამონტაჟდა 9 ცალი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფერული სარკე. ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება სფერული სარკეების დაზიანება. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დავაყენეთ საკითხი, ანტივანდალური საგზაო უსაფრთხოების სფერული სარკეების შეძენის შესახებ.

მოსახლეობის მიერ ყველაზე მოთხოვნადია სიჩქარის იძულებითი შემცირების ხელოვნური დაბრკოლებების (ბორცვების) დამონტაჟება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ტენდერი უკვე გამოცხადებულია, უახლოეს პერიოდში მოხდება დამონტაჟება. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ მოსახლეობა ხშირად ითხოვს სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის დემონტაჟს, ვინაიდან ბარიერზე მანქანის დამუხრუჭების შედეგად წარმოიქმნება ბიძგები.

სხვადასხვა რაიონებში დავიწყეთ ახალი მონიშვნა-დახაზვები ყვითელ და თეთრ ფერებში. მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს 100 000 კვ.მ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები. თუმცა, გრძელდება თეთრ და წითელ ფერებში თერმოპლასტით მონიშვნაც.

გაცალმხრივდა იონა ვაკელის და ოთარ ჭილაძის ქუჩა, რამაც გამოიწვია მოძრაობის განტვირთვა მიმდებარე ტერიტორიებზე.

ვ.შაქარიშვილი - იონა ვაკელის და ოთარ ჭილაძის ქუჩაზე სწორად დაიგეგმა მოძრაობის ორგანიზება, მაგრამ დარღვევის დროს ხშირ შემთხვევაში არ ხდება აღსრულება.

ვ.აბულაძე - ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავდა პროექტი მ/ს „დიდუბის“ მიმდებარედ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილებასთან დაკავშირებით. პროექტის შედეგად, გაცალმხრივდება მოძრაობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. ველოდებით უცხოელი ექსპერტების დასკვნას, რომ პროექტი განვახორციელოთ.

აქვე მინდა ერთი პრობლემის შესახებ გაცნობოთ. გურამიშვილის გამზირზე, ღრმაღელის მეტროდან 150 მეტრის მოშორებით განთავსებულია ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, მაგრამ მოსახლეობა არ სარგებლობს ამ გადასასვლელით და გურამიშვილის ქუჩიდან არბოს ქუჩის მიმართულებით სამანქანო გზაზე გადადის. ვფიქრობთ, რომ ამ ადგილას დამონტაჟდეს შუქნიშანი. მაგრამ აღნიშნული წარმოადგენს განხილვის საგანს, ვინაიდან შუქნიშნის დამონტაჟების შემთხვევაში სხვა ინფრასტრუქტურა დაკარგავს დანიშნულებას. ამასთანავე შესაძლოა ამ ადგილზე შუქნიშნის დამონტაჟებამ წარმოქმნას საცობი.

ი.ნადირაძე - პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს, თუ საჭირო გახდება არჩევანის გაკეთება ფეხით მოსიარულეებსა და ავტომანქანების მძღოლებს შორის, უპირატესობა ფეხით მოსიარულეებს უნდა მივანიჭოთ.

თ.ისაკაძე - მექნება კომუნიკაცია ამ თემასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურებთან.

შ.ოგბაიძე - ანდრონიკაშვილის და სარაჯიშვილის ქუჩების კვეთაზე მოსახლეობა ითხოვდა შუქნიშნის მონტაჟს, ასევე იყო სხვა პრობლემებიც. პრობლემების 70 % აღმოფხვრილია. შემდეგი თხოვნა არის რელიეფური ზებრების მონტაჟი. კარგი შედეგი მოიტანა ამ წამოწყებამ ჯიქიას ქუჩაზე.

თ.ისაკაძე - შემდეგ სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა მოვიწვიოთ.

ქ.ჯოხაძე - მუხიანში მეტროს მიმართულებით მოძრაობს ავტობუსი №79. აღნიშნულ ხაზზე დადის ძველი ბოგდანის ავტობუსი. გარკვეული პერიოდის წინ რამდენიმე დღით შეიცვალა ბოგდანის ავტობუსი და დაინიშნა ახალი, მაგრამ მხოლოდ 3 დღით. მოსახლეობა ითხოვს, რომ მარშრუტზე იმოძრაოს ახალმა ავტობუსმა. ამასთანავე, მუხიანის მოსახლეობა ითხოვს, მუხიანიდან ვაკის გავლით უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით დაინიშნოს ავტობუსი.

რ.ბერაძე - სვანეთის უბანში გადმოვიდა კავკასიის უნივერსიტეტი, სტუდენტებისათვის ძალიან პრობლემურია ტრანსპორტის საკითხი, ვინაიდან მხოლოდ ერთი ავტობუსი მოძრაობს. შუალედი ავტობუსებს შორის ძალიან დიდია, იქნებ დრო შემცირდეს ავტობუსებს შორის. ასევე, ივერთუბნის მოსახლეობა გვთხოვს შემავალ ქუჩებზე მარშრუტების დაგრძელებას.

მ.მამულაშვილი - ჩვენ გვაქვს არაერთი თხოვნა M3 კატეგორიის ავტობუსებთან დაკავშირებით, იქნება ეს ავტობუსის დამატება ხაზზე თუ ავტობუსის შეცვლა. მას შემდეგ, რაც ბოგდანის ავტობუსები ჩანაცვლდება „MAN“-ის ავტობუსებით, გამოთავისუფლდება 25 ვარგისი ერთეული, როგორ გადავანაწილებთ ამ 25 ერთეულს განხილული იქნება ხელმძღვანელობასთან. კავკასიის უნივერსიტეტთან უნდა დავამატოთ ავტობუსი, რომ შევამციროთ დრო ავტობუსებს შორის.

რაც შეეხება ივერთუბანს, შემავალ ქუჩებზე მარშრუტებს ვერ დავაგრძელებთ, 800 მეტრიანი ქუჩებია, არ იქნება საკმარისი რაოდენობის მგზავრები.

მუხიანიდან ვაკეში ადრე დადიოდა 94 ნომერი, ამჟამად აღნიშნული ავტობუსი არ დადის. მაგრამ კომპანია ,,სისტრა“ ამუშავებს სატრანსპორტო სქემას და ამ სქემის მიხედვით ვიმუშავებთ მომავალში.

ი.ჯიშკარიანი - ქეთევან წამებულის გამზირზე 87-ე სკოლასთან არ უნდა იყოს ავტობუსის გაჩერება, ვინაიდან ძალიან დიდი ინტენსივობით მოძრაობენ მანქანები და ავტობუსის გაჩერებასთან მათ უწევთ მკვეთრად დამუხრუჭება.

მ.მამულაშვილი - როდესაც მოსახლეობა ითხოვს ავტობუსის დამატებას ან ახალ მარშრუტს, დამოკიდებული ვართ რესურსზე. არის ადგილები სადაც ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს. არჩევანი უნდა გავაკეთოთ იმ ადგილებს

შორის სადაც საერთოდ არ მოძრაობს ტრანსპორტი და სადაც 30 ან 45 წუთიანი შუალედით მოძრაობს.

თ.ისაკაძე - ძალიან დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის. ვფიქრობ, თანამშრომლობის ეს ფორმა მისაღებია როგორც საკრებულოსთვის, ისე მერიისთვის. შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სხვა უწყებების ჩართულობაც არის საჭირო, მომდევნო სხდომებზე ამ უწყებასაც მოვიწვევთ და მათთან ერთად მჭიდრო კოორდინაციის გზით, გავივლით საკითხებს.

- კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე